## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № –

ქ. თეთრიწყარო 3 ივნისი 2011 წელი

ერთის მხრივ „მანგლისის სამუსიკო სკოლა“ (შემდეგში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. “კომპაუდი” (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს “მანგლისის სამუსიკო სკოლის“ 2008-2010 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული მომსახურების შესყიდვა; /79212000/.

### 2.ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება (გადასახადების გათვალისწინებით) შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

### 3. მხარეთა მოვალეობანი:

*„მიმწოდებელი“ ვალდებულია*

3.1. 2011 წლის 10 ივნისამდეუზრუნველყოს აუდიტორული შემოწმება და შესაბამისი ანგარიშის შედგენა.

*„შემსყიდველი“ ვალდებულია:*

3.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისდროულად და ხარისხიანად შესრულების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

### 4. ანგარიშსწორება:

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება მომსახურების დასრულებისა და ანგარიშის შედგენის შემდეგ შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

### 5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით.

### 6. მიღება-ჩაბარების წესი:

6.1. მომსახურების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

### 7. ფორს-მაჟორი:

7.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ფორს-მაჟორულ შემთხვევად ითვლება სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, შეიარაღებული კონფლიქტი, სამოქალაქო არეულობა, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.